

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია

“Adventus”- მოსვლა

ადვენტიზმი განეკუთვნება პროტესტანტულ მიმდინარეობას. სახელწოდება გამოხატავს მის საღვთისმეტყველო სპეციფიკას- ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინს. მათ 208 ქვეყანაში 25 მლნ. წევრი ჰყავთ.

ადვენტისტური მოძრაობა მე-19 ს.30-ან წლებში ჩამოყალიბდა, როცა ერთ-ერთი ბაპტისტი ფერმერი უილიამ მილერი წმინდა წერილის გამოკვლევისას და შესწავლისას მივიდა დასკვნამდე, რომ ქრისტეს მეორე მოსვლა უნდა მომხდარიყო 1844 წლის 22 ოქტომბერს.

ამას მოყვა რამდენიმე ეკლესიის წარმოშობა. ამ ეკლესიათა შორის ყველაზე მსხვილ ორგანიზაციად მე-7 დღის ადვენტისტთა ეკლესია(მათ ეს სახელწოდება 1860 წლიდან ჰქვია).

მე-7 დღის ადვენტების ფორმირება მჭიდროდ არის დაკავშირებული ელენე უაიტის სახელთან. მისმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ეკლესიის ჩამოყალიბებაში.

რუსეთში ადვენტიზმის მიმდევრები 1880-ანი წლებიდან გამოჩნდნენ სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის გერმანელ კოლონისტების შორის. 1890წ. სტავროპოლში ჩამოყალიბდა პირველი ადვენტისტური საკრებულო. მათ სდევნიდა როგორც მართმადიდებლური ეკლესია , ასევე მთავრობა.1920წ. მათი ეკლესიების რაოდენობა შესამჩნევლად გაიზარდა, მაგრამ მათ შორის მოხდა განხეთქილება ხელისუფლებასთან დამოკიდებულებასა და ჯარში მსახურების საკითხების გამო. გამოყოფილებს ადვენტისტ-რეფორმისტების სახელით იცნობენ. 1930 წლებში მათ თავს დაატყდათ რეპრესიები საბჭოთა ხელისუფლებისაგან. 1945-46წწ. მოხერხდა სულ რამდენიმე საკრებულოს რეგისტრაცია, რომლებიც კვლავ ლიკვიდირებულნი იქნენ 1960 წელს. მხოლოდ 1981 წ. მოხერხდა ადვენტისტური საკრებულოების გაერთიანება რუსეთის ტერიტორიაზე.

მრწამსი: სწამთ წმინდა სამება, საღვთო წერილი, იცავენ შაბათს.

ადვენტიტური ეკლესია საქართველოში ჩამოყალიბდა 1909წ. სოხუმში მისიონერ ვაჰან ჰამპანიანის მიერ. 1925წ. თბილისში ტარდება ადვენტიტური ეკლესიათა ტრანსკავკასიური ყრილობა. ამის შემდეგ მათ თავზე დატეხილმა რეპრესიებმა საბჭოთა მთავრობისაგან პრაქტიკულად შეწყვიტა მათი არსებობა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1957 წლამდე. 1960 წ. მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ადვენტიტი მქადაგებელი პავლე პანჩენკო. მან მოახერხა 52 წევრის შეკრება, მაგრამ ყველანი მათგან რეპრესირებულნი იყვნენ და თვითონ პანჩენკო გადასახლებული იქნა საქართველოდან. 1977წ. ერევნიდან ჩამოსულ იოჰან დრელინგსა და ბაქოდან ჩამოსულ პავლე ლაგუტოვს ფაქტიურად თავიდან მოუწიათ გაბნეული ადვენტიტების მოგროვება. მათ დაარსეს (თბილისში, ლოტკინის მთაზე) ადვენტიტური ეკლესია, რომელიც რეგისტრირებულია 1982 წელს. 1994წ. ზაოკსკის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხნენ პირველი ქართველი ადვენტიტები: სერგო ნამორაძე და ბაგრატ გოგუაშვილი. 2001წ. საქართველოში ჩამოყალიბდა მე-7 დღის ადვენტიტთა ეკლესიათა გაერთიანება. ამჟამად ადვენტიტურ ეკლესიას ჰყავს 600 წევრი.

გამოსცემენ სასულიერო წიგნებსა და ჟურნალებს: „აღმოსვლა“, „შაბათის სკოლა“, „ქრისტე წუთისოფლის იმედი“, „გზა ქრისტესაკენ“ და სხვ.

ეკლესიები გააჩნიათ: თბილისში-3, გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ახმეტაში, შილდაში.